აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

საჯარო სკოლებს შორის კონკურენტუნარიანობაში სკოლის ადმინისტრაციის როლი

ლანა ჩადუნელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ვასილ კიკუტაძე

თანახელმძღვანელი: გიორგი გახელაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (12)
თბილისი, 0178, საქართველო
თებერვალი,2020 წელი
საავტორო უფლება © 2020 წელი, ლანა ჩადუნელი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ბიზნესისა და ინჟინერიის მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ლანა ჩადუნელის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: **„საჯარო სკოლების კონკურენტუნარიანობაში სკოლის ადმინისტრაციის როლი“** და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის დასკვნითი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალურ კომისიაში მის განხილვას განათლების მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი _____

თანახელმძღვანელი _____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2020 წელი

ავტორი: ლანა ჩადუნელი

დასახელება: „საჯარო სკოლებს შორის კონკურენტუნარიანობაში სკოლის ადმინისტრაციის როლი“

ფაკულტეტი: ბიზნესისა და ინჟინერიის

ხარისხი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი

თარიღი: __/__/__

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ყველა საჯარო სკოლის მიზანია იყოს მოთხოვნადი, რათაც კონკურენცია გაუწიოს სხვა საჯარო სკოლებს. სკოლებს შორის კონკურენციას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის სკოლის ადმინისტრაცია, რომელიც არის სკოლაში სტაბილურობის გარანტი.

თემის აქტუალურობა: საჯარო სკოლებში სკოლის ადმინისტრაციის როლი,მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდაში ძალიან დიდია. ეს თემა აქტუალურია,რადგან საქართველოს სივრცეში არ არსებობს მსგავსი კვლევის პრაქტიკა, რაც ერთი მხრივ ჩემთვის გამოწვევაცაა და სირთულეც, რადგან არ მაქვს იმის საშუალება, რომ დავეყრდნო გასული წლების სტატისტიკას საკვლევ თემასთან დაკავშირებით.

საჯარო სკოლების კონკურენტუნარიანობა ყველაზე მეტად, სწორედაც რომ ადმინისტრაციის მუშაობის სტრატეგიებზეა დამოკიდებული. განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში, როდესაც თბილისში მოსახლეობის რაოდენობამ ძალიან სწრაფი ტემპით დაიწყო ზრდა, და მოქალაქეებსაც აქვთ უფლება აირჩიონ ზოგადასგანამნანათლებლო დაწესებულება არა საცხოვრებელი ადგილის არამედ პრიორიტეტების და სურვილის მიხედვით.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საჯარო სკოლების კონკურენტუნარიანობის გაზრდა ადმინისტრაციის მიერ გაწეული სხვადასხვა ღონისძიეების დაგეგმითა და განხორციელებით.

კვლევის საგანია - საჯარო სკოლების კონკურენტუნარიანობაში ადმინისტრაცია როლის კვლევა.

კვლევის ობიექტი - საჯარო სკოლების კონკურენტუნარიანობაში ადმინისტრაციის როლის შესწავლა, სსიპ ქალაქ თბილისის N132 და სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლებში.

საკვლევის თემის ჰიპოთეზა - თბილისის საჯარო სკოლებს შორის კონკურენციაში ადმინისტრაციის ნაკლები აქტიურობა.

კვლევა ატარებს რაოდენობრივ და თვისებრივ ხასიათს, დაფუძნებულია რესპოდენტების მიერ შევსებულ კითხვარზე. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სსიპ ქალაქ თბილისის N132 და N115 საჯარო სკოლის დირექტორებმა, მასწავლებლებმა,მშობლებმა და ამ სკოლების ახლომდებარე ბაღის მშობლემა.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ნათელი გახდა დირექტორების, მასწავლებლებისა და მშობლების შეხედულებები სკოლის ადმინისტრაციის საქმიანობის მიმართ. ასევე გამოიკვეთა მშობლების კრიტერიუმები სკოლის არჩევისას.

Resume

The goal of all public schools is to be well sought after in order to compete with other public schools. Competition between schools is driven by many factors, including school administration, which is the guarantee of school stability.

Topic actuality: The role of the school administration in public schools is very important in increasing their competitiveness. This topic is relevant because there is no similar research practice in the Georgian space, which are both a challenge and a difficulty, as there is no way of relying on statistics from previous years on the topic of study.

The competitiveness of public schools largely depends on the strategies of the administration. Especially in recent years, when the population numbers in Tbilisi have grown at a very rapid pace and citizens have the right to choose a public education institution based not only on their place of residence but on their priority and desires as well.

The aim of the research is to increase the competitiveness of public schools through planning and implementation of various activities implemented by the administration.
The subject of the research – To explore the role of administration in the competitiveness of public schools.

Object of the research - To study the role of administration in the competitiveness of public schools, in Legal Entity under Public Law (LEPL) Tbilisi Public School N132 and Tbilisi Public School N115.

Research topic hypothesis - There is a lot of competition among Tbilisi public schools and the role of administration is less active in this competition.

The study is of a quantitative and qualitative nature, and is based on a questionnaire filled out by respondents. The study participants included the public school principals, teachers and parents at Legal Entity under Public Law (LEPL) Tbilisi Public School N132 and N115, and also the parents of the kindergartens located near to the schools.

The findings of the study revealed the views and opinions of principals, teachers, and parents regarding school administration activities. The criteria for choosing a school by parents were also outlined.

შინაარსი

შესავალი 1

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა 4

თავი 2. კვლევითი ნაწილი 18

1.1 საჯარო სკოლის დირექტორების ანკეტირებული 20

კითხვარის ანალიზი 20

1.2. საჯარო სკოლის მასწავლებლების ანკეტირებული 22

კითხვარის ანალიზი 22

კითხვარის ანალიზი 24

1.4. ბაღის მშობლების ანკეტირებული 26

კითხვარის ანალიზი 26

თავი 3. კვლევის შეზღუდვები 28

დასკვნა 30

რეკომენდაციები 34

გამოყენებული ლიტერატურა 37

შესავალი

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში, ბოლო რამდენიმე ათეული წელია, აუცილებელი გახდა კონკურენტუნარიანობაზე ზრუნვა. სადაც მთავარი როლი, სტრატეგიების შემუშავებაში სკოლის დირექციას და ადმინისტრაციას უკავია.

თბილისის საჯარო სკოლებში, გაზრდილი კონკურენცია სხვადასხვა ფაქტორმა გამოიწვია, პირველი და უმთავრესი არის ბოლო პერიოდის განმავლობაში რაიონებიდან მოსახლების მასობრივი მიგრაცია. ასევე აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლი,სადაც ნათქვამია, რომ ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსწავლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო ადგილის შერჩევა ხდება არა

მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით,არამედ მშობელთა პრიორიტეტებიდან გამომდინარე, ამ არჩევანის საშუალებასაც იძლევა კონსტიტუცია.

დღევანდელი მონაცემებით თბილისში 177 საჯარო სკოლა არსებობს, ხოლო catalog.edu.ge-ის მონაცემეებით მოსწავლეთა რაოდენობა 167 750-ს აღემატება. სწორედ მოსწავლეთა ესეთი რაოდენობა განაპირობებს სკოლებს შორის მაღალ კონკურენციას.

ყველაფერი ზემოთთქმულიდან გამომდინარე,თბილისის საჯარო სკოლებში კონკურენტუნარიონობა მაღალია. ამ პროცესში კი ,როგორც ლიტერატურის ანალიზშიდაც ვნახავთ,მნიშვნელოვანი როლი სკოლის ადმინისტრაციას უკავია.

ლიფემი წიგნში „ლიდერობა და ადმინისტრირება სკოლაში“, ლიდერისა და ადმინისტრატორის ფუნქციებს განიხილავს, რომელთა შორისაც არსებითი ზღვარი გაავლო. მან განსაზღვრა ადმინისტრატორი, როგორც პირი, რომელიც მიზნის მისაღწევად იყენებს არსებულ სტრუქურას ან პროცედურებს და იგი ზრუნავს, შეინარჩუნოს არსებული სტრუქტურა ან პროცედურები. მისი მოსაზრებით ადმინიტსრატორი უნდა ზრუნავსდეს ორგანიზაციის სტაბილიზაციაზე,ხოლო ლიდერის ფუნქცია კი არის ცვლილებების ინიცირება,

ახალი სტრუქურისა თუ პროცედურების ჩამოყალიბებაში. ლიფემის განსაზღვრებით, ადმინიტრატორი შეიძლება იყოს ლიდერი ცვლილებების ინიცირების გამო, და არა ხელმძრვანელი პოზიციის გამო.

საჯარო სკოლებში სკოლის ადმინისტრაციის როლი, სკოლებს შორი კონკურენტუნარიანობის გაზრდაში ძალიან დიდია. ეს თემა აქტუალურია,რადგან საქართველოს სივრცეში არ არსებობს მსგავსი კვლევის პრაქტიკა, რაც ერთი მხრივ ჩემთვის გამოწვევაცაა და სირთულეც, რადგან არ მაქვს იმის საშუალება, რომ დავეყრდნო გასული წლების სტატისტიკას საკვლევ თემასთან დაკავშირებით.

საჯარო სკოლების კონკურენტუნარიანობა ყვლეზე მეტად, სწორედაც რომ ადმინისტრაციის მუშაობის სტრატეგიებზეა დამოკიდებული. განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში, თბილისში მოსახლეობის რაოდენობამ ძალიან სწრაფი ტემპით დაიწყო ზრდა, და მოქალაქეებსაც აქვთ უფლება აირჩიონ ზოგადასგანამნანათლებლო დაწესებულება არა საცხოვრებელი ადგილის, არამედ პრიორიტეტების და სურვილის მიხედვით. შესაბამისად სკოლებმაც დაიწყეს ზრუნვა საკუთარ განვითარებაზე, შეცვალეს მართვის სტილი გასულ წლებლთან შედარებით თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გადახდეს სწავლა სწავლების პროცესი. ყვლაფერს ამას კი სკოლაში ადმინისტრაცია არეგულირებს, ამიტომაც მათი როლი სკოლის კონკურენტუნარიანობის გაზრდაში ძალიან დიდია. აღნიშნულ თემაში მნიშვნელოვანია ნაბიჯები, რომელსაც სკოლის ადმინიტრაცია დგავს, იმისთვის რომ სკოლა უფრო მეტად კონკურენტუნარიანი გახდეს.

ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს საჯარო სკოლების კონკურენტუნარიანობის გაზრდა ადმინისტრაციის მიერ გაწეული სხვადასხვა ღონისძიეების დაგეგმითა და განხორციელებით.

კვლევის ამოცანაა:

- სკოლის ადმინისტრაციის საქიანობების შესწავლა, რაც შეიძლება საჯარო სკოლების კონკურენტუნარიანობის ხელშემწყობი იყოს;
- მშობლებისა დამოკიდებულეების შესწავლა, თუ რას თვლიან ისინი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლად;
- მშობლების დამოკიდებულების შესწავლა როგორ, რა პრინციპითა და პრიორიტეტებით შეარჩიეს მათ ეს სკოლა თავისი შვილებისთვის;
- დირექტორის აზრით რა დანიშნულება, ფუნქცია და მოვალეობები აქვს, სკოლის დირექციას, კონკურენტუნარიანობის გაზრდაში;
- დირექტორის აზრი თავად ეს სკოლები, რა მახასიათებლებით უწევენ კონკურენციას სხვა საჯარო სკოლებს.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

სანამ ლიტერატურის განხილვას დავიწყებ, თავდაპირველად განვმარტავ კონკურენციას. სიტყვა „კონკურენცია“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს “შერკინებას”, ”კონკურენციას”, ბრძოლას კონკურენტებს, მეტოქეებს შორის უპირატესობის მოსაპოვებლად,ადამიანისათვის სტიმულია, რაც აიძულებს მას ჩაერთოს კონკურენტულ ბრძოლაში, არის სწრაფვა, უპირატესობა მოიპოვის სხვასთან შედარებით, რაც განაპირობებს მოგების მაქსიმალიზაციას. (მახნიაშვილი, ა. 2014)

სკოლებს შორის კონკურენციაში, რა როლი აკისრია ადმინისტრაციას განიხილება წიგნში „ლიდერობა და ადმინისტრირება სკოლაში - მნიშვნელოვანი მცნებები,სიტუაციური სავარჯიშოები და სიმულაციები“(2012) , როგორც ამ წიგნის ავტორები გორტონი, ალსტონი და სნოუდენი, აღნიშნავენ, სკოლის ადმინისტრატორის ფუნქციაა, რომ სკოლის ადმინისტრატორის მიერ ლიდერობის შეთავსება მის ერთ-ერთ უმთავრეს პასუხისმგებლობას უნდა წარმოადგენდეს. ლიდერისათვის კი, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ღირებულებები,რაც სკოლის მიზანში და მისიაშია ჩამოყალიბებული.

ლიდერობის შესახებ ლიტერატურის შექმნის საკითხში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ლიფემს (1964), რომლის მოსაზრებებიც ამ წიგნისა ავტორის აზრით, მეტად საინტერესოა განათლების ადმინისტრატორებისათვის. ადმინისტრატორსა და ლიდერს შორსი ლიფემმა არსებითი ზღვარი გაავლო. მან განსაზღვრა ადმინისტრატორი, როგორც „პირი, რომელიც იყენებს არსებულ სტრუქტურებს, ან პროცედურებს, იმისათვის რომ მიაღწიოს ორგანიზაციულ მიზანს. ლიფემის მოსაზრებით ადმინისტრატორი არის სტაბლიზაციის გარანტი, ხოლო ლიდერი ორგანიზაციაში ზრუნავს ცვლილებების ინიცირებაზე, ლიდერი წარმოადგენს არსებული მდგომარეობის დამანგრეველს. ლიფემი არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ადმინისტრატორი შეიძლება იყოს ლიდერი ცვლილებების

შემოტანის გამო, მაგრამ არა ლიდერი მხოლოდ პოზიციის გამო. ადმინისტრატორი რომელიც ირგებს ლიდერის როლს ვერ შეძლებს ლიდერობაზე ბევრი დროის დახარჯვას, რადგან მან ყურადღება უნდა მიაქციოს სკოლის ადმინისტრირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესება შეფერხდება. ამ მოსაზრებას იზიარებს ბენისი, რომელიც აღნიშნავს რომ „მენეჯერები არიან ის ადამიანები,რომლებიც სწორად ასრულებელ საჭირო საქმეებს; ლიდერები კი სწორ საქმეებს აკეთებენ“ . შესაბამისად კარგი მენეჯერები წარმატებით ართმევენ თავს ყოველდღიურ რუტინას, მაგრამ იშვიათად უჩნდებათ კითხვა უნდა შესრულდეს თუ არა ეს საქმეები, რაც არაეფექტურია საორგანიზაციო საქმიანობისათვის, რადგან ორგანიზაცია რომლის მიზანიც არის თვითეფექტიანობის გაუმჯობესება და ახალი სიმაღლეების მიღწევა, ადმინისტრატორი აუცილებლად უნდა შეეცადოს ცვლილებების ინიცირებას. თუ ეს ცვლილებები სასურველ დასასრულს მიაღწევს ადმინისტრატორი წარმატებულ ლიდერობას მიაღწევს, რაც დღევანდელ განათლებაში ყველაზე მნიშვნელოვანია. აღნიშნულ სახელმძღვანელოში გადმოცემული ეს მოსაზრებები ნათლად გადმოგვცემს აზრს, რომ დღევანდელ საგანმათლებლო სისტემაში მნიშვნელოვანია ადმინისტრატორის როლი, რომელსაც ექნება ლიდერს ფუნქციაც, რადგან მხოლოდ ერთი ადამიანი ვერ შეძლებს ორგანიზაციაში სიღრმისეული ცვლილებების გატარებას. აქედან გამომდინარე, სკოლამ რომ შეძლოს იყოს კონკურენტული, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის გააქტიურება და ადმინისტრატორის როლის გაზრდა სასკოლო ცხოვრებაში, რაც გამოიწვევს მოსწავლეთა მიღწევევების გაზრდას.(გორტონი,ალსტონი,სნოუდენი.2012)

სკოლაში ადმინისტრაციის საქმიანობას, ბილ მულფორდი ნაშრომში „სკოლის ხელმძღვანელი: გამოწვევები და გავლენა მოსწავლეებზე და სკოლის ეფექტიაობაზე“ განიხილავს საჯარო სკოლებში ადმინისტრაციის საქმიანობას ძველ დროში, ის რომ ადმინისტრაციის საქმიანობა ძირითადად დაკავშირებული იყო ბიუროკრატიულ საქმეებთან,ასევე გადაწყვეტილების მიღებისას მკაცრად იყო დაცული იერარქია და გადაწყვეტილების მეთოდები. ახალ მენეჯმენტში კი ეს

მიდგომა შეიცვალა და აუცლებელი გახდა ნაკლები იერარქია და მკაცრი მეთოდების გამოყენება გადაწყვეტილების მიღებისას.(Mulford 2003)

ორგანიზაციების გაუმჯობესების ყველაზე მარტივ სტრატეგიას წარმოადგენს მენეჯმენტის განახლება. თანამედროვე მითოლოგია გვპირდება, რომ ორგანიზაციები ჩინებულად იმუშავებენ, თუ მათ კარგად მართავენ,მენეჯერებს ევალებათ, ჰქონდეთ სრული სურათი და თვალი ადევნონ მათი ორგანიზაციის ზოგად კეთილდღეობას და რენტაბელურობას. სამწუხაროდ ისინი ყოველთვის ვერ ასრულებენ დაკისრებულ ამოცანას. მაშინაც კი,როდესაც შეიარაღებული არიან კომპიუტერით,საინფორმაციო სისტემებით,პროცესების ტექნოლოგიური სქემებით, ხარისხის კონტროლის პროგრამული უზრუნველყოფით და მრავალი სხვა ინსტრუმენტითა თუ ტექნიკით. ამიტომ მხოლოდ რესურსით აღჭურვა ვერ გვაძლევს სასურველ შედეგს.(ბოლმანი,დილი.1984)

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების სკოლები მათი ისტორიის მანძილზე ასახავდნენ ინდუსტრიის, კომერციისა და სამხედრო სფეროს ღირებულებებსა და მოსაზრებებს,სულ უფრო აშკარა ხდება, რომ სკოლები უნიკალური თუ არა, გამორჩეული ორგანიზაციები მაინც არიან და ბევრი რამით განსხვავდებიან ინდუსტრიული,კომერციული,სამთავრობო თუ სამხედრო ორგანიზაციებისაგან. ამის გამო შესაბამისი აზროვნება,მმართველობის სტილი,ადმინისტრაციული მოქმედების მიდგომა სჭირდებათ. საგანმანათლებლო ორგანიზაციები უნიკალურობა მის საგანმანათლეობლო მისიაში აისახება.მრავალი ორგანიზაცია პროდუქტების წარმოების,გაყიდვის,დამატებითი მომსახურების შეთავაზების ხარჯზე ფულის საკეთებლად იქმნება.მთავრობეი საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისათვის ერთობლივად მრავალ ორგანიზაციას ქმნიან. სკოლების განსაკუთრებული მისია- განათლების მიწოდება- საჭირობს ორგანიზაციებს, რომლებიც თვისობრივად ადამიანების მუდმივ ზრდასა და განვითარებაზე ზრუნავენ, რათა ისინი სრულად რეალლიზებულ ინდივიდებად ჩამოყალიბდნენ. ასეთმა ორგანიზაციებმა ხელილ უნდა შეუწყოს სწავლებას,პერსონალურ ზრდას,ყველა მონაწილის განვითარებას

სკოლაში დასაქმებული უფროსობისა და მასწავლებელების ჩათვლით.(ოუენსი,ვალენსკი.2008)

დღევანდელ რეალობაში სკოლას ენიჭება დიდი როლი მოსწავლის სამომავლო მიღწევებზე, ამასთან დაკავშირებით XX საუკუნეში განსხვავებული მოსაზრება იყო დამკვიდრებული, კერძოდ, სასკოლო განათლება გავლენას არ ახდენს საკოლო მიღწევებზე, მაგალითად 1966 წელს ამერიკაში გამოცემულ „ქოლმანის ანგარიშში“ ხაზგასმული იყო, რომ სკოლას გავლენაც კი არ აქვს მოსწავლეთა მიღწევებზე და რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ სკოლის გარეთ მიღებულ ცოდნასა და სოციალურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, თუმცა საპირისპირო მოსაზრება აჟღერებს მარზანო, რომელით აღნიშნავს, რომ სკოლა არა თუ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლის განვითარებასა და აკადემიურ მიღწევებში არამედ ეფექტიანობის შემთხვევაში იგი სოციალური გარემოს გავლენას სრულიად ანეიტრალებს. აქედან გამომდინარე, როგორც უკვე ავღნიშნე სასკოლო გარემოს დიდი გავლენა აქვს მოსწავლეთა სამომავლო მიღწევებზე, რაც საჯარო სკოლებს ავალდებულებს, რომ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის აქტიური ნაბიჯები გადადგან, რაშიც დიდი წვლილი სკოლის ადმინისტრაციას უჭირავს. (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტი, 2011)

საჯარო სკოლებმა, იმისთვის რომ შეძლონ კონკურენცია გაუწიონ სხვა სკოლებს, გარკვეული მახასიათებლები უნდა გააჩნდეს, რასაც შეიძლება „წარმატებული სკოლის მახასიათებლები“ ვუწოდოთ , და რამდენიმე კატეგორია გამოვყოთ. ამ კატეგორიებს აღწერს, ოკლაჰომასა და ჯორჯიის შტატის განათლების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განათლების სიტემის სპეციფიკას ითვალისწინებს. სკოლამ იმისთვის რომ წარმატებას მიაღწიოს სამი მნიშვნელოვანი მიმართულების განვითარებაზე უნდა იფიქროს, ესენია, აკადემიური საქმიანობა, რაც გულისხმოს სასწავლო გეგმებს, შეფასებასა და სწავლებას; სასწავლო გარემო, რაშიც მოიაზრება სკოლის კულტურა საზოგადოების, მოსწავლისა და ოჯახის მხარდაჭერა და პროფესიული განათლება, მესამე კატეგორიაა ეფექტიანობა, რაშიც იგულისხმება,

ხელმძღვანელობა, დაგეგმვა და ორგანიზება. ჩემი საკვლევი თემიდან გამომდინარე, როგორც ამ დოკუმენტშიცაა აღნიშნული ხელმძღვანელობას სკოლისთის წარმატების მიღწევაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომლის მთავარი ფუნქციაც სხვადასხვა პროცედურების დაგეგმვა და დანარჩენი ორი კატეგორიის მეტ-ნაკლებად შესრულებაა.(მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტი, 2011)

საჯარო სკოლების კონკრენტუნარიანობის განმსაზღვრელია, სასკოლო ასაკის მოსწავლეთა, მშობლებების დამოკიდებულებები ამა თუ იმ სკოლის მიმართ, რაც საბოლოოდ სხვა ფაქტორებთან ერთად გავლენას მოახდენს მათ არჩევანზეც. შესაბამისად, სკოლებიც უნდა ზრუნავდნენ იმაზე, რომ შექმნან ისეთი სკოლა რომელიც ბევრი მშობლის არჩევანი იქნება. წარმატებული და მაღალი კონკურენციით გამორჩეული სკოლების მახასიათებლების შესახებ მრავალი კვლევა გამოქვეყნდა. შანონმა და ბილსმამ (2007) შეაჯამეს და გამოყვეს ეფექტიანი სკოლის მახასიათებლები, რომელსაც განსხვავებული კლასიფიკაცია აქვს და შეესაბამება სხვა ავტორების შემაჯამებელ ნამუშევრებს. ავტორები გამოყოფენ შემდეგ მახასიათებლებს:

- ✓ მკაფიო და ფოკუსირებული მისია;
- ✓ მოსწავლეების მიმართ მაღალი მოლოდინები;
- ✓ სწავლის მაღალი სტანდარტები;
- ✓ ძლიერი ხელმძღვნელობა;
- ✓ მაღალი ხარისხის თანამშრომლობა;
- ✓ კომუნიკაცია;
- ✓ სასწავლო გეგმის სწავლებისა;
- ✓ შეფასების სტანდარტების შესაბამისობა;
- ✓ სწავლისა და სწავლების ხშირი მონიტორინგი;
- ✓ ფოკუსირებული პროფესიულ განვითარება,
- ✓ წამახალისებელი სასწავლო გარემო;
- ✓ მშობლებისა და საზოგადოების აქტიური ჩართულობა. (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი,2011)

საქართველოს სკოლებში, რა კატეგორიები განსაზღვრავს მასწავლებელთა და მშობელთა აზრით სკოლის კონკურენტუნარიანობას ეს ჩემი კვლევის ანალიზში ნათლად გამოჩნდება.

ის თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ წარმატებას მნიშვნელოვანია სკოლის მისია და ხედვა. ამ სივრცეს მიზანმიმართულს და უფრო მეტად პროდუქტიულს ხდისს, შესაბამისად აუცილებელი სკოლაში დასაქმებულ ყველა პირს გააზრებული ჰქონდეს სკოლის მისია, რადგან მათი საბოლოო შედეგები მისიის მიზნის შესაბამისი იყოს. ამ თემაზე საუბრობს ალან ბლანქსტაინი სკოლის მისიას დიდ როლს ანიჭებს და მას „ფასადურს“ უწოდებს, რადგან იგი სრულად იზოლირებულია სკოლის რეალობისაგან, ავტორი მისიის მნიშვნელობის გაზრდაზე საუბრობს, და აღნიშნავს რომ მისია სკოლის მთავარი დოკუმენტი უნდა გახდეს ამისთის კი ოთხ მთავარ კითხვას უნდა ცემდეს პასუხს:

1. თუ ჩვენი მოლოდინია რომ მოსწავლემ ისწავლოს, კონკრეტულად რა უნდა ისწავლონ მად?
2. როგორ გავიგებთ, სწავლობენ თუ არა მოსწავლეები ჩვენი მოლოდინების შესაბამისად?
3. როგორ უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს ის, რისი სწავლებაც გვსურს?
4. რას მოვიმოქმედებთ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები არ სწავლობენ ჩვენი მოლოდინების შესაბამისად?(მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტი, 2011)

ასევე ავტორი აღნიშნავს, რომ სკოლის მისიის გასაზრდელად აუცილებელია მისი პრაქტიკულად განხორციელების გზების განხილვა თანამშრომლებთან, მისი განთავსება სკოლის ვებ-გვერდზე, ან მასწავლებლის საინფორმაციო ფურცელზე, სკოლის მისიის საწინააღმდეგო ქმედებაზე სწრაფი რეაგირება. ბლანქსტეინი სკოლისთვის მისიის არსებობასა და მის დაცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც მისი აზრით სკოლას წარმატების მიღწევასა და კონკურანტუნარიანობის გაზრდაში დაეხმარება.

მოსწავლეთა მიღწევები სკოლის კოკურეტუნარიანობის განზაღვრისთვის ერთ-ერთი ფაქტორია. მათზე კი მასწავლებელთა დამოკიდებულებებსა და

მოლოდინებს დიდი გავლენა აქვს, წარმატებისა თუ წარუმატებლობის საქმეში. შანონი და ბილსმა აღნიშნავენ რომ მოსწავლეები რომლებიც არიან, უმცირესობის წარმომადგენლები და დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონდენი მასწავლებლებს, მათ მიმართ შედარებით დაბალი მოლოდინი აქვთ. ასევე აღმოჩნდა, რომ მოსწავლეების ქცევა იცვლება, იმის მიხედვით, თუ როგორი შეხედულებები და პროგნოზი აქვთ, მასწავლებლებსა და მშობლებს, მათი აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევის შესახებ. (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტი 2011)

თემურ სუყაშვილის სტატია თემაზე „სკოლის ადმინისტრაცია და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება მოსწავლეებში“ ხაზგასმით აღნიშნავს, ადმინისტრაციის როლს, სკოლის განვითარებისათვის. იმისათვის, რომ საჯარო სკოლებს შორის კონკურენცია შედგეს, ყველა მათგანმა უნდა მიაღწიო ეროვნულ სასწავლო მიზნებს,მის ერთ-ერთ მუხლში აღნიშნულია, რომ სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული და პოლიტიკური ინტერესები. მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებების აქტიური მოქმედების შესაძლებლობა, შესაბამისად სკოლის როლია მოსწავლეებისათვის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. სკოლის დირექციას კი ამ საკითხში გადამწყვეტი როლი ეკისრება. დიდ წილად მასზეა დამოკიდებული სამართლიანობის განცდის, ჯანსაღი კლიმატის, დაცულობის შეგრძნებისა და ნდობის მაღალი მაჩვენებლის არსებობა, რაც მოსწავლეს აძლევს საშუალებას თავისუფლად განვითარდეს. ასეთ პირობებში მოსწავლეს შეუძლია უსამართლობის შემთხვევაში მიმართო სკოლის ადმინისტრაციას. სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის კი აუცილებელია თავისუფალი აზროვნება. ასევე სკოლის ადმინისტრაციამ უნდა შეუწყოს ხელი სკოლებში თვითმართველობების გაძლიერებას, სადაც უშუალოდ მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ რა არის მიუღებელი საქციელი და რა უფლებები და მოვალეობები აქვთ მათ. ასევე სამოქალაქო ცნობიერების გასაზრდელად საჭიროა არაფორმალური განათლება,რაშიც იგულისხმება სწავლება პროექტებით,სადაც იკვეთება თანამშრომლობა საზოგადოებრივ

ორგანიზაციებთან. საზოგადოებრივი ჯგუფების ცართულობა სასკოლო ცხოვრებაში დადებითად აისახება მოსწავლეებზე. საბოლოოდ კი ყველა ეს კომპონენტი მოსწავლეებს უყალიბებს სამოქალაქო ცნობიერებას, რაც თანამედროვე სკოლებისათვის აუცლებელი მახასიათებელია. (სუყაშვილი,2019)

საქართველოში განათლების მიმართულებით 90-იანი წლებიდან დაწყებული უამრავი რეფორმა ჩატარება და ეს რეფორმები დღემდე მიმდინარეობს. რეფორმები განხორციელდა თითქმის ყველა მიმართულებით, მათ შორის ეკონომიკის მიმართულებით. ნებისმიერ ქვეყანაში რესურსების დიდი ნაწილი განათლებითვისაა გამოყოფილი, რადგან განთლება არა მხოლოდ უკეთესი ცხოვრების საფუძველს აძლევს ადამიანს, არამედ უდიდესი წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში. ამდენად განათლების განვითარება ნებიმიერ ქვეყანაში საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური საკითხია. (მაღლაკელიძე,გიორგობიანი,შუკაკიძე 2012)

საქართველოში რეფორმების გატარებიდან პირველი ათი წლის განმავლობაში თითქმის არცერთ სფეროში მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან მიზეზი ის იყო, რომ არ არსებობდა განვითარების ერთიანი სტრატეგია; მოქმედებდა მართვის არაეფექტური, ავტორიტარული სისტემა; დაბალი დაფინანსების პირობებში არ ხდებოდა მატერიალური ბაზის განახლება, რაც იწვევდა მის მოძველებას და განადგურებას; ასევე წარმოიქმნა პედაგოგების სახელფასო დავალიანება, რის შედეგადაც პედაგოგიური საქმიანობა ნაკლებად მიმზიდველი გახდა ახალგაზრდებისათვის; განათლების სფეროში ჩამოყალიბდა სოციალური უთანასწორობის სისტემა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველა საფეხურზე ვლინდებოდა მომზადების დაბალი დონე, მოძველებული სწავლების მეთოდოლოგია, გამოიყენებოდა საბჭოთა პერიოდის დაბალი ხარისხის სახელმძღვანელოები,ეს და სხვა მრავალი პრობლემები იყო საქართველოში განათლების სფეროში 21-ე საუკუნის დასაწყისში. (მაღლაკელიძე,გიორგობიანი,შუკაკიძე 2012)

განათლების სფეროში რადიკალური რეფორმები დაიწყო 2004-2005 წლიდან. საქართველომ მიიღო ორი ძირითადი კანონი - „საქართველოს კანონი ზოგადი

განათლების შესახებ“ და „ საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, ამით უზრუნველყო სკოლებსა და უმაღლეს დაწესებულებებში თავისუფალი, სამართლიანი და თანაბარი გარემოს შექმნა.

რეფორმა ძირითადად ემსახურებოდა მოსწავლისა და სტუდენტების მოთხოვნილებებს,მათ შესაძლებლობისა და ინტერესების განვითარებას, საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პედაგოგებისა და ადმინისტრაციის დახმარებით. ჩამოყალიბდა განათლების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების ძირითადი გრძელვადიანი მიზნები:

- სოციალური ინკლუზია - ისეთი განათლების სისტემის ჩამოყალიბება,რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ყველა მოქალაქის მაქსიმალუ ჩართვას განათლების პროცესში;
- სამოქალაქო ინტეგრაცია - ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაცია საზოგადოებაში სახელმწიფო ენის სწავლებისა და ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით;
- კონკურენტუნარიანობა - განათლების და მეცნიერების სისტემის შექმნა, რომელიც თანაბარ დონეზე ჩაერთვება და კონკურენციას გაუწევს ევროპული მეცნიერების და განათლების სისტემას;
- ცოდნაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა,რომელშიც ცოდნას,როგორც მწარმოებელ ძალას, უმნიშვნელოვანესი როლი მიუძღვის ახალი ღირებულებების შექმნაში.(მაღლაკელიძე,გიორგობიანი,შუკაკიძე))2012)

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოამზადა მოქმედების სტრატეგიები:

- განათლებისა და მეცნიერების მართვის პროცესის დემოკრატიზაცია და საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმა;
- განათლების სისტემის დეცენტრალიზება და საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიურობის უზრუნველყოფა;
- განათლების სექტორის შედეგზე ორიენტირებული მენეჯმენტის დამკვიდრება ხარისხის უზრუნველყოფის სქემების და რესურსების განაწილების მექაიზმის მეშვეობით;

- განათლების სექტორის დაფინანსების ზრდა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;
- თანამედროვე სტანდარტებსი შესატყვისი საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება;
- განათლებისა და მეცნიერების სფეროს მსოფლიო სივრცესთან ინტეგრირება,უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერებისა და საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრების განვითარება;
- უწყვეტი განათლებისა და ცხოვრების მანძილზე სწავლებისათვის ხელსაყრელი პირობების ჩამოყალიბება;
- ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.

(მაღლაკელიძე,გიორგობიანი,შუკაკიძე 2012)

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ქვეყნის განვითარების, დემოკრატიული ცხოვრებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებელ მოთხოვნად იქცა განათლების რეფორმა, საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა პირველ რიგში განათლების სისტემის ცვლილებას მოითხოვს. მემკვიდრეობით მიღებული და ცენტრალიზებული ადმნინისტრაციის განათლების სისტემა შეცვლილიყო დეცენტრალიზებულით, დემოკრატიულობისა და სამართლიანი კონკურეციის პრინციპზე დაფუძნებული მოსწავლის ცოდნაზე და ხარისხზე ორიენტირებული განათლების სისტემა, ეს ცვლილება საქართველოს კონსტიტუციაშიც აისახა, მაგრამ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ქვეყანაში განვითარებულმა არახელსაყრელმა მოვლენებმა ამ ცვლილებისთვის ხელსაყრელი ნაბიჯების გადადგმა შეაყოვნა. მხოლოდ 2001 წლიდან გახდა შესაძლებელი, რომ განათლების სისტემის რეფორმას ქვეყანაში უფრო ორგანიზებული ხასიათი მისცემოდა. დასავლურ დემოკრატიულ საზოგადოების ჩამოყალიბებაში რამდენიმე ღირებულება გამოიყო, ესენი:

- თავისუფლება;
- თანასწორობა;
- ძმობა;
- ეფექტიანობა;

- ეკონომიკური ზრდა.

თანასწორობის ღირებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწორი გახდა კლასდაფინანსებიდან ყოველ მოსწავლეზე გათვალისწინებულ „ვაუჩერულ“ დაფინანსებაზე გადასვლა და სახელმწიფო დაფინანსების გაზრდა, ამან ერთი მხრივ განათლების სისტემა უფრო გამჭირვალე გახადა და მეორე მხრივ სასწავლო დაწესებულებეს შორის შექმნა სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული კონკურენტული გარემო. ამას უნდა მოჰყვეს განათლების ხარისხის ამაღლება. **არჩევანის თავისუფლება** სკოლებს ამ ღირებულების რეალიზებაში ისევ ფინანსური დამოუკიდებლობისა და მათთვის დემოკრატიული პრინციპების ცხოვრებაშ დანერგვა უწყობს ხელს. საინტერესო მოსწავლეთა მიერ სკოლების თავისუფლად არჩევა. ახლა უკვე მოსწავლე თავისი ვაუჩერით თავისუფალ არჩევანს აკეთებს,რაც სკოლებს შორის კონკურენციას ზრდის და მათი ხარისხის ამაღლებას უწყობს ხელს. თავისუფალი ღირებულებეის პრინციპი დაცულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სკოლას საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე შეუძლია სასწავლო გეგმაში 25% ფარგლებში საგნებს შორის საათების გადანაცვლება.(დიასამიძე,2012)

სკოლას აქვს მნიშვნელოვანი ფუნქცია, ყველაფერი რასაც საზოგადოებამ მიაღწია, მის მომავალ წევრებს სკოლის საშალებით გადაეცეს, საზოგადოება თავის თავთან, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მართალი, თუ ის მართლია ყველა იმ ინდივიდის აღზრდის საკითხში, რომლებიც ამ საზოგადოებას შეადგენს, ეს ჩვენს განწყობას განსაზღვრავს სკოლის მიმართ. ჩვენ სკოლას პირედი პოზიციიდან აღვიქვათ, როგორც ურთიერთობა მასწავლებელთა შორის, ან ურთიერთობა მასწავლებელსა და მშობელს შორის, ყველაზე მეტად ბავშის წინსვლა გვაინტერესებს, მისი ნორმანული ფიზიკური განვითარება, წერის კითხვისა და თვლის უნარის გაუმჯობესება, ცოდნის გაღრმავება სხვადასხვა საგანში. ძნელია სიტყვებით აღწერო საკლასო ცხოვრებაში არსებული განსხვავებები, კლასში გვხვდება ფსიქოლოგიური განსხვავევები,ცვლილება მეტნაკლები პასიურობიდა, ინერტულობიდა და თავშეკავებულობიდან,ამიტომ ჩვენი წარმოდგენა სკოლისა

და სწავლების მიმართ ურყევი არ უნდა იყოს და გავითვალისწინოთ ბავშვებს შორის არსებული განსხვავებები.(დიუი,2013)

აქედან გამომდინარე ყველა ეს მახასიათებელი გასათვალისწინებელია,რადგან სკოლაში შეიქმნას მოსწავლეებისათვის სასიამოვნო გარემო და ეს კი ხელს შეუწყობს საჯარო სკოლის კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

სწორედ ამ ღირებულებების და სტრატეგიების შემუშავების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საჯარო სკოლებში განათლების ხარისხი, რამაც წარმოქმნა სკოლებს შორის კონკურენცია. იქედან გამომდინარე რომ საჯარო სკოლების დაფინასება ხდებოდა მოსწავლეთა რაოდენობის მხრივ, ამან სკოლების გააქტიურება გამოიწვია,რადგან სკოლის ინტერესი გახდამეტი მოსწავლის მოზიდვა,რაც გამოიწვევდა,რისი საშუალებითაც სკოლას ექნებოდა მეტი შემოსავალი,რომელსაც გამოიყენებდა სკოლის კეთილდღეობისათვის. მაღალ კონტიგენტიანმა სკოლებმა შეძლეს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სასწავლო რესურსების შეძენა, ადაპტირებული გარემოს შექმნა და სხვა. დაფინანსების ესეთი ტიპი შეიცვალა ბოლო წლებში და ამჟამად არის შერეულ ტიპის დაფინანსება, რისი საშუალებითაც სკოლას შეუძლია საჭირო ფინანსების მოძიება და სხვადასხვა საქმიანოსათვის გამოყენება, რაც უფრო ჯანსაღ გარემოს ქმნის.

განათლების სისტემის რეფორმაზე საუბრობს ბერიკა შუკაკიძე წიგნში „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვის საკითხები“. ის აღნიშნავს, რომ განათლების სისტემის რეფორმის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია საზოგადების მხარდაჭერა, ანუ საგანმანათლებლო კულტურის მქონე საზოგადოების შექმნა. ხოლო საგანმანათლებლო კულტურის ჩამოყალიბებაში ყველაზე ოპტიმალური და რაციონალური ინსტიტუტია საჯარო სკოლა,მინიმუმ ორი მიზეზის გამო, ესენია :

1. ლოჯისტიკური - არც ერთი სხვა სახელმწიფო თუ კერძ სტრუქტურა გეოგრაფიულად ისე სრულად არ მოიცავს ქვეყანას, როგორც საჯარო სკოლა;
2. თემატური - სკოლა საგანმანათლებლო ტიპის დაწესებულებაა, და სასურველია, თუ საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა მხოლოდ

მოსწავლეებისათვის არ იქნება უზრუნველყოფილი. სკოლა უნდა ეცადოს, გაზარდოს მშობლებისა და,ზოგადად ადგილობრივი თემის ჩართულობა.

იმის მიუხედავად, რომ ეს ორივე მიზეზი დღესაც არსებობს, მაინც არაა მიღწეული მიზანი საგანმანათლებლო კულტურის მქონე საზოგადოების შექმნის შესახებ, რასაც ადასტურებს საერთაშორისო შეფასებები (PISA, PIRLS , TIMSS). მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება ჩამორჩება ევროპელი, ამერიკელი და აზიელი თანატოლების შედეგებს, ეს ხდება იმ ფონზე როცა საქართველოს საჯარო სკოლის მოსწავლეეთა 57%-ს კერძო რეპეტიტორი ჰყავს. (ბრეგვაძე,2011) იმისათვის, რომ საჯარო სკოლა მნიშვნელოვანი ცვლილბების აგენტი იყოს , საჭიროა მისი როგორც ინსტიტუტის პოპულარობის გაზრდა (შუკაკიძე, 2018).

მნიშვნელოვანია ის ფაქტი რომ PISA-ს კვლევების თანახმად, საქართველოში განათლების დონე დაბალია. PISA კვლევებს საქართველოში 2009 წლიდან ატარებს და 2015 წლამდე უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაუმჯობესებულ ტენდეციას აჩვენებდა, ხოლო 2018 წელს ჩატარდებულ კვლევაში, სადაც საქართველოს 300-ზე მეტი სკოლის 15 წლის 5000-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, კვლევა ამოწმებს სამ სფეროში ცოდნას, ესენია: კითხვა, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები,სადაც საქართველომ 2015 წელთან შედარებით გაუარესებული შედეგი აჩვენა, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საქართველო ბოლოდან მე-5 ადგილზეა.(რადიო თავისუფლების ახალი ამბები,2018)

იმის მიუხედავად, რომ განათლების სისტემაში მუდმივად მიმდინარეობს რეფორმები, ქვეყანაში განათლების დონე მაინც დაბალია, რასაც უამრავლი კვლევა მოწმობს. თბილისის საჯარო სკოლებში კონკურენციას განაპირობებს ძირითადად სკოლის რეპუტაცია, მაგრამ ის სკოლები რომლებიც გამოირჩევიან საზოგადოებაში დიდი პოპულარობით მაინც ვერ აღწევენ მაღალ შედეგებს, რაზეც სახელმწიფოს მხრიდან არაეფექტური მუშაობა განაპირობებს. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ვერცერთი რეფორმა ვერ განხორციელდება, თუ არ იყო ერთიანი სტრატეგია შემუშავებული და საზოგადოების მხრიდან საგანამანათლობლო კულტურის დონე არ გაიზარდა.თანამედროვე

საგანმანათლებლო სივრცისთვის, როგორც ჩემს მიერ გამოკითხული რესპოდენტებიც აღნისშნავდნენ აუცილებელია თანამედროვე მიდგომები,რაშიც ვგულისხმობ მოსწავლეთა ინდივდუალობის მიხედვით დაგეგმის სასწავლო პროსესს. იმისთვის რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები მიღწეული იყოს აუცილებელია ასეთი ტიპის სასწავლო პროცესები, თუმცა ცვლილების განსახორციელებლად საჭიროა ქვეყანაში ერთიანი სტრატეგიის არსებობა.

ჩემს მიერ განხილული ლეტერატურა, მიუთითებს იმას, რომ მნიშვნელოვანაია საჯარო სკოლებში ჩატარდეს სიღრმისეული რეფორმები, სადაც ერთ-ერთი წამყვანი როლი სკოლის ადმინისტრაციას ექნება.

თავი 2. კვლევითი ნაწილი

იმის გათვალისწინებით, რომ ვარ საჯარო სკოლის ადმინისტრაციის წევრი, ჩემივე პრაქტიკაზე დაკვირვებით გამოიკვეთა არსებული პრობლემა. კვლევა მომცემს საშუალებას უფრო ღრმად შევისწავლო არსებული პრობლემა და დავისახო გადაჭრის გზები. კვლევის პროცესში გამოვიყენე დაკვირვება, დავაკვირდი საჯარო სკოლის ადმინისტრაციაში მიმდინარე პროცებს და გავაკეთე ჩანაწერები დაკვირვების საფუძველზე. დაკვირვება მნიშვნელოვანია რადგან როგორც, თ.ზურაბშვილი ამბობს: „ადამიანთა ცხოვრებაში არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოქმედებებს, ქცევებს, ურთიერთობებს ამ მოქმედებებს შორის კი არის ისეთები რომელთა სიტყვიერად გადმოცემაც რესპოდენტს შესაძლოა გაუჭირდეს“. (თ.ზურაბიშვილი, „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ , სოციალურ მეცნიერებათა სერია, CSS, თბილისი 2006 წელი, გვ. 48).

კვლევის მეთოდათ თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდი გამოვიყენე, თვისობრივი მეთოდი პრობლემას ბუნებრივ გარემოში, ჩემს შემთხვევაში ადმინისტრაციაში შეისწავლის. თვისებრივ მეთოდში გამოვიყენე ანკეტირებულ კითხვარს დირექტორებთან, მასწავლებლებთან, სკოლის მშობლებთან და ბაღის მშობლებთან. ანკეტირებული კითხვარი მომცემს საშუალებას გავიგო რესპოდენტების დამოკიდებულება საკვლევი საკითხის მიმართ. ანკეტირებული კითხვარის ჩატარებისას გამოვიყენე შემდეგი ეტაპი: პრეინტერვიუ, რათა რესპოდენ გავაცნი კვლევის მიზანი და ავუხსენ რატომ ავირჩიე ის კვლევაში მონაწილეობის მისაღებად, დავარწუმო იგი ანკეტირებული კითხვარის ანონიმურობაში. (თ.ზურაბიშვილი, „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ , სოციალურ მეცნიერებათა სერია, CSS, თბილისი 2006 წელი, გვ. 48).

რაც შეეხება, რაოდენობრივ მეთოდს გამოვიყენებ სტატისტიკისთვს, რათა დავადგინო საჯარო სკოლების კონკურენტუნარიანობაში, რამდენად არიან ჩართულები სკოლის ადმინისტრატორები. კვლევის სამიზნე იქნება თბილისის ორი ახლო მდებარე საჯარო სკოლები სსიპ ქალაქ თბილისის N132 და N115 საჯარო სკოლები.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოვიკითხე ორი საჯარო სკოლა, ესენია: სსიპ ქალაქ თბილისის N132 და სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლება. გამოვიკითხე მათი დირექტორები, სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლის 10 მასწავლებელი, ასევე სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლაში მასწავლებელთა იგივე რაოდენობა, მშობლებს რაც შეეხება გამოვიკითხე სსიპ ქალაქ თბილისის N132 და N115 საჯარო სკოლებში გამოვიკითხე 20-20 მშობელი, ჯამში 40 მშობელი. ასევე ასევე ანკეტირებული კითხვარი ჩავატარე ამ ორ სკოლასთან ახლომდებარე ბაღის 20 მშობელთან.

კითხვები იხილეთ დანართი N1-ში.

1.1. კვლევის ეთიკური საკითხი

თავდაპირველად სანამ კვლევაში მონაწილე მხარეების გამოკითხვას დავიწყებდი, ეთიკური საკითხები მოვაგვარე. პირველ რიგში მშობლებთან და მასწავლებლებთან, სკოლის ორგანიზებით მქონდა თანხმობა კითხვარის მათთან დარიგების და შევსების შესახებ.

მასწავლებლებთან, დირექტორთან და მშობლებთან, ყველა მათგანისგან მქონდა თანხმობა, რომ ქონდათ სურვილი კვლევაში მონაწილეობის ასევე ყველა მათგან გავაცანი საკვლევი თემა, ასევე გავუმარტე, რომ კონფიდენციალურობა დაცული იქნებოდა. პასუხების ჩაწერის ნებართვაც წინასწარ ავიღე და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყე მონაცემების შეგროვება.

1.1 საჯარო სკოლის დირექტორების ანკეტირებული კითხვარის ანალიზი

ჩემს საკვლევ ობიექტს წარმოადგენდა თბილისის ორი კონკურენტი საჯარო სკოლა, ამიტომ ჩავატარე ანკეტირებული კითხვარი დირექტორებთან. კითხვები იყო შემდეგი შინაარსის: არსებობდა თუ არა კონკურენცია თბილისის საჯარო სკოლებში, რა ფაქტორი განაპირობებდა ამ კონკურენციას,ვის რა როლი აკისრია სკოლების კონკურენტუნარიანობაში, ასევე დირექტოების შეფასება თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით.

ორივე საჯარო სკოლის დირექტორი აღნიშნავს, რომ თბილისის საჯარო სკოლაში ნამდვილად არსებობს კონკურენცია, მათი აზრით კონკურენციას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, ესენია: სკოლის რეპუტაცია საზოგადაოებაში,მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სკოლის ინფრასტრუქტურა,

სკოლის ბიუჯეტი, დირექცია, ცნობილი მასწავლებლები, ინკლუზიური განათლების პირობები და მზრუნველი გარემო და ურთიერთობები.

სკოლებს შორის კონკურენციაში დირექტორების მოსზრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია დირექციას და მასწავლებლებს, მასწავლებლებს, რომლებიც იზიარებენ თანამედროვე საგანმანათლებლო ღირებულებებს. ასევე გამოყოფენ პატიოსნებას და პასუხისმგებლობლობას, რითაც თავიანთ ვალდებულებას პირნათლად შეასრულებენ, რაც გაზრდის სკოლებს შორის კონკურენტუნარიანობას.

დირექტორების მოსაზრებით ყველა საჯარო სკოლა რომელიც გლდანში ლუწ მიკრო რაიონებში მდებარეობს , მათი კონკურენტია.ფიქრობენ, რომ ჯანსაღი კონკურენცია მათი სკოლის განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ასევე აღსანიშვავია, სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლის დირექტორის მოსაზრება სკოლების კონურენტუნარიანობაზე, ის ამბობს რომ მისი სკოლის ნაკლებ პოპულარობას განაპირობებს მისი ძველი რეპუტაცია, რასაც მექანიკურად მიჰყავს კონკურენტი სკოლა წარმატების გზაგე.

საჯარო სკოლის ორივე დირექტორი თავიანთ სკოლას აფასებენ 3 ქულით, 5 ბალიანი სისტემიდან, სადაც 3 ქულა აღნიშნავს საშუალოს. დირექტორების ეს შეფასება მიუთითებს, იმას, რომ ორივე სკოლაში დირექტორების მოსაზრებით კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი, რითაც სკოლა მიაღწევს კიდევ ბევრ წარმატებას.

1.2. საჯარო სკოლის მასწავლებლების ანკეტირებული კითხვარის ანალიზი

სსიპ ქალაქ თბილისის N132 და N115 საჯარო სკოლებიდან სულ გამოიკითხა 20 მასწავლებელი. 10-10 თითოეული სკოლიდან. მასწავლებლებს გავუგზავნე ანკეტირებული კითხვარი სადაც, მათ დააფიქსირეს თავიანთი მოსაზრება სკოლების კონკურენტუნარიანობაზე. კითხვების შიანარსი შემდეგია: სკოლებს შორის კონკურენციის განმსაზღვრელი ფაქტორები, სკოლის, მასწავლებლის,ადმინისტრაციის და თავიანთი როლი სკოლის კონკურენტუნარიანობის გაზრდაში, ასევე სკოლების შეფასება,სადაც მუშაობდნენ 5 ბალიანი სისტემიდან.

საჯარო სკოლის მასწავლებლები ამბობენ, რომ კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს მზრუნველი გარემო და ურთიერთობები,სკოლის ინფრასტრუქტურა,მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება და დირექცია. ჩამონათვალიდან უმეტესობას ასახელებს მზრუნვე გარემოს და ურთიერთობებს, რომელიც ყველაზე დიდი როლს თამაშობს მასწავლებლების აზრით სკოლების კონკურენტუნარიანობაზე.

მასწავლებლების მოსაზრებით, სკოლა რომ იყოს კონკურენტუნარიანი დგავს შემდეგ ნაბიჯებს: აწესრიგებს სკოლის ინფრასტრუქტურას,ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას,ქმნის მზრუნველ და მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოს,ჩართულია სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში,ზრუნავს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

სკოლის ადმნისტრაციის როლი სკოლებს შორის კონკურენტუნარიანობაში, რომელიც ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი საკვლევი საკითხია, მასწვალებლებლების უმეტესობა ამბობს, რომ მათი ფუნქცია არის ძალიან მნიშვენლოვანი,ისინი ამბობენ რომ მათ უნდა იზრუნონ სკოლის ინვენტარზე, დოკუმენტაციის სწორად წარმართვაზე, მოსწავლეთა პრობლემების გადაჭრაზე,

დაიცვას სკოლის შინაგანაწესი,შესთავაზოს სკოლას სიახლეები,იზრუნოს სასიამოვნო ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე და მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე გაცვლითი პროგრამებით.

ხოლო მასწავლებლის მთავარ ფუნქციად, სკოლების კონკურენტუნარიანობის გაზრდაში მნიშვნელოვანია მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე ზრუნვა,სხვადასხვა აქტივობების განხორციელება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა გააქტიურებას, ასევე უსაფრთხო გარემოს შექმნა, ჰუმანური მიდგომები მოსწავლეებთან და ზრუნვა თვითგანვითრებაზე, რითაც ფეხს აუწყობს თანამედროვე განათლებას.

კვევაში მონაწილე მასწავლებელთა უმეტესობა ამბობს, რომ პასუხისმგებლობით ეკიდებიან ნაკისრ ვალდებულებებს, ქმნიან უსაფრთხო და პოზიტიურ გარემოს, ცდილობენ იყვენენ შემოქმედნი და აქტიურნი.

5 ქულიანი სისტემიდან, სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლის მასწავლებელები 3, 4 და 5 ქულით აფასებენ სკოლას. 60 % აფასებს 4 ქულით, 30% აფასებს 5 ქულით და 10% აფასებს 3 ქულით. ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის მასწავლებლები 4 და 5 ქულით აფასებენ თავიანთ სკოლას. 60% აფასებს 5 ქულით,40% აფასებს 4 ქულით.

აღნიშნული შეფასებები მიუთითებს, იმას რომ ორივე სკოლის მასწავლებელთა უმეტესობა დადებითად აფასებს სკოლას.

1.3. საჯარო სკოლის მშობლების ანკეტირებული კითხვარის ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებით გამოვიკითხე სსიპ ქალაქ თბილისის N132 და N115 საჯარო სკოლის მშობლები სულ 40 მშობელი. თითოეული სკოლიდან 20-20 მშობელი. მშობლების ანკეტირებული კითხვარი ძირითადად შედგებოდა შემდეგი საკითხებისაგან:კრიტერიუმები, რითაც იხელმძღვანელეს თავიანთი შვილის სკოლის შერჩევისას, მადამწყვეტი როლი რომელმა კრიტერიუმმა ითამაშა, ასევე სკოლის, ადმინისტრაციის და მასწავლებლების როლი სკოლების კონკურეტუნარიანობის გაზრდაში რა არის და რა ქულით შეაფასებდნენ სკოლას 5 ქულიანი სისტემიდან.

მშობლები თავიანთი შვილის სკოლის შერჩევისას ხელმძღვანელობდნენ შემდეგი კრიტერიუმებით: საცხოვრებელი ადგილი, მძრუნველი გარემო და ურთიერთობები,საზოგადოებაში სკოლის უპირატესობა,დირექცია,ცნობილი მასწავლებლები და სკოლის ინფრასტრუქტურა. სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლის მშობლები ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, კიდევ ასახელებ მოსწვალეთა მცირე რაოდენობას.

ორივე სკოლის მშობლები უპირატესობას ანიჭებენ შემდეგ ფაქტორებს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.მაგალითად: სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლის მშობლები პრიორიტეტად მიიჩნევენ მზრუნველ გარემოს და ურთიერთობებს,დირექციას,საცხოვრებელ ადგილს და სკოლის რეპუტაციას. ხოლო, სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის მშობლები უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს,ცნობილ მასწავლებლებს და სკოლის რეპუტაციას. როგორც ვნახე, მშობლების მოსაზრებები, ამ შემთხვევაში არის განსხვავებული, მხოლოდ საერთო არის სკოლის რეპუტაცია, როგორც ჩანს მშობლებისათვის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლის რეპუტაციას საზოგადოებაში.

მშობლები სკოლის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელად მიიჩნევენ მის რეპუტაციას საზოგადოებაში, განათლების ხარისხს, მზრუნველ,პოზიტიურ და

უსაფრთხო გარემოს, ჰარმონიულ ურთიერთობებს,სკოლის ინფრასტრუქტურას, და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას.

ასევე ჩემი სამაგისტრო ნაშრომისათვის მნიშვნელოვანია, მშობლების აზრი სკოლის ადმინისტრაციის საქმიანობაზე, მათი აზრით, რას აკეთებს ადმინისტრაცია სკოლის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად.

მშობლების ამბობენ, რომ სკოლის ადმინისტრაციის როლი მნიშვნელოვანია,რადგან მან უნდა იზრუნოს მოსწავლეთა მშვიდი და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე,მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე, სხვადასხვა აქტივობების განხორციელებაზე, რომელიც გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას,ასევე მნიშვნელოვანია იზრუნოს გაცვლითი პროგრამების განხორციელებაზე და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობაზე, რომლითაც სკოლას გაუწევენ პოპულარიზებას.

ხოლო მასწავლებლი მთავარ ფუნქციად ასახელებენ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაზრდას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით,მოტივაციის ამაღლებას,მზრუნველი და მეგობრული გარემოს შექმნას.

მშობლები თავიანთი შვილის სკოლას 5 ქულიანი სისტემიდან აფასებენ შემდეგნაირად: სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლის მშობლების 60% აფასებს 5 ქულით, 35% 4 ქულით და 5% 3 ქულით. ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის მშობლების 20% აფასებს 5 ქულით,50% 4 ქულით, 25% 3 ქულით და 5% 2 ქულით.

მშობლების შეფასებებმა გვიჩვენა, რომ სკოლის მიმართ კმაყოფილება სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლის მშობლებს უფრო აქვთ, ვიდრე სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლისას. საერთო ჯამში ორივე სკოლის მშობლების უმეტესობის შეფასება დადებითია.

1.4. ბაღის მშობლების ანკეტირებული კითხვარის ანალიზი

იმისათვის, რომ ჩემი სამაგისტრო ნაშრომი ყოფილიყო უფრო მრავალფეროვანი, ჩავრთე ბაღის მშობლები, რომელებმაც ეხლა უნდა აირჩიო თავიანთი შვილისათვის სკოლა. ვფიქრობ, რომ მათი შეფასებები მნიშვნელოვანია ჩემი სამაგისტრო ნაშრომისათვის. ბაღის მშობლებსაც მსგავსი შინაარსის კითხები დავუსვი,რაც სკოლის მშობლებს. რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელებენ სკოლის არჩევისას, სკოლის,მასწავლებლის და ადმინისტრაციის როლი რა იყო სკოლის კონკურენტუნარიანობაში. მშობლები რაოდენობა იყო 20. ეს მშბლები იყვნენ ჩემს მიერ შერჩეული სკოლების ახლოს მდებარე ბაღის მშობლები.

ბაღის მშობლების პასუხი კითხვაზე, თუ რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელებენ თავინთი შვილი სკოლის შერჩევისას გადანაწილდა შემდეგნაირად. იხილეთ დიაგრამა N1.



როგორც დიაგრამა N1-ზეა აღნიშნული, მშობლები უპირატესობას ანიჭებენ მზრუნველ გარემოს და ურთიერთობებს და საცხოვრებელ ადგილს, შემდეგ მოდის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება,ცნობილი მასწავლებლები და საზოგადოებაში მისი რეპუტაცია.

ბაღის მშობლები სკოლების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელად მიიჩნევენ გამოცდილ პედაგოებს, რომლებიც გამოირჩევიან მზრუნველობით მოსწავლეთა მიმართ, ქმნიან პოზიტიურ გარემოს, ხელს უწობენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს,ქმნიან არადისკრიმინაციულ გარემოს, აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიები და ზრუნავენ სკოლის რეპუტაციაზე.

ადმინისტრაციის მიმართებაში მსგავსი კითხვაზე ბაღის მშობლების პასუხი იყო, რომ ადმინისტრაციამ უნდა აღწურვოს სკოლა გამოცდილი და სანდო მასწავლებლებით,იზრუნოს თბილ და უსაფრთხო გარემოზე და ასევე სკოლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე.

ხოლო მასწავლებლის როლს სკოლის კონკურენტუნარიანობის გაზრდაში,თვლიან რომ არის ძალიან დიდი,რადგან მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესება მათი აზრით აბარია მასწავლებელს,რომელმაც უნდა შექმნას საინტერესო და მრავალფეროვანი სასწავლო გარემო,ცართონ მოსწაველთა მაქსიმალური რაოდენობა სასწავლო პროცესში და ორიენტირებული იყვნენ თითოეული მოსწავლის მარალ აკადემიურ მიღწევებზე.

ბაღის მშობლების მოსაზრებები თითქმის ემთხვევა სკოლის მშობლების პასუხებს, ორივე კატეგორიის მშობლები მიიჩვენებ უპირატესად საცხვრებელ ადგილს, მზრუნველ და უსაფრთხო გარემოს და მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. ხოლო ბაღის მშბლების მცირედი ნაწილისათვის პრიორიტეტია სკოლის რეპუტაცია საზოგადოებაში, რაც განსხვავდება სკოლის მშბლების პასუხებისაგან, რადგან სკოლის მშობლების დიდი ნაწილისათვის მნიშვენლოვანი იყო სკოლის რეპუტაცია საზოგადოებაში.

თავი 3. კვლევის შეზღუდვები

კვლევის ჩატარების პროცესში სხვადასხვა სუსტი და ძლიერი მხარეები გამოიყო, ასევე გამოვყოფ ჩემს შესაძლებლობებსა და საფრთხეებს რაც ამ შესაძლეებლობებს თან ერთვის. ჩემი კვლევის სუსტი მხარეა ის რომ, თვისობრივი კვლევისას არ გამომიყენებია სიღრმისეული ინტერვიუ რესპოდენტებთან, რადგან კვლევის დაგემვისას სამიზნე სკოლებად უფრო მეტი სკოლა მქონდა შერჩეული, საბოლოოდ კი ვერ მოხერხდა აღნიშნული ორი საჯარო სკოლის გარდა სხვა სკოლებში კვლევის ჩატარება, რამაც საკმაოდ მცირე დრო დამიტოვა საკვლევად, ამის გამო კი რესპოდენტებთან მომიწია კითხვარი გამომეყენებია. სუსტი მხარე ჩემი კვლევისთვის ასევე იყო უცხოური ლიტერატურის სიმცირე, ეს პრობლემა შემექმნა ენის ბარიერის გამო, რამაც საშუალება არ მომცა გავცნობოდი უცხოურ გამოცდილებას და შემედარებია იგი, დღევანდელი საქართველოს სკოლებში არსებული რეალობისთვის. რაც შეეხება ამ ორი საჯრო სკოლიდან გამოკითხულ მასწავებელბისა და მშობლების რაოდენობას, განსაზღვრა იმან რომ ზოგიერთმა მასწავლებელმა არ ისურვა კვლევაში მონაწილეობა, მშობლების უმეტესობამ კი კითხვებზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავეს.

ჩემი კვლევის ძლიერ მხარეებს რაც შეეხება, პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია ის რომ სკოლების დირექტორებისგან მქონდა ხელშეწყობა, სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები გამომეკითხა და მათმაც ძალიან გულწრფელი პასუხები გამცეს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. მასწავლებლებს რაც შეეხება, იმ მასწავლებლებმა რომლებმაც ისურვეს კვლევაში მონაწილეობა ღია კითხვეს სრული პასუხები გასცეს. ჩემი კვლევა იძლევა სკოლის ცხოვრებაში ჩართული სხვადასხვა რგოლის, მასწავლებლის მშობლების და დირექტორის აზრის მოსმენის საშუალებას, რაც ვფიქრობ ჩემი კვლევის კიდევ ერთი ძლიერი მხარეა.

ჩემი კვლევის შესაძლებლობებაა, მომავალში ჩემი სურვილის შემთხვევაში, იქედან გამომდინარე რომ აქამდე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

მსგავსი კვლევის პრაქტიკა არ არსებობს და ცემი სამაგისტრო ნაშრომი იქნება პირველი, რომელიც ძალიან კარგი საშუალებაა სამიზნე სკოლებისთვის, გაანალიზონ საკუთარი პრობლემები და დასახონ გადაჭრის გზები.

კვლევის საფრთხეა ის რომ, სიღრმისეული ინტერვიუს არ გამომიეყენებია, ამ კვლევაზე დაყრდნობით კი, რომელიმე სხვა კვლევის ჩატარებისას მკვლევარი შესაძლოა არასწორ გზაზე დადგეს და მცდარი საქმომედო გეგმა აირჩიოს სამომავლო კვლევის ჩატარებისთვის.

დასკვნა

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა ძალიან საინტერესო და საგულილსხმო დასკვნები გამოკვეთა, კვლევის ჰიპოთეზაც გამართლდა, საჯარო სკოლების კონკურენტუნარიანობაში ადმინისტრაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, შესაბამისად ლიტერატურის მიმოხილვაში განხილული მოსაზრება, რომ ადმნისტრატორი სკოლაში უნდა იყო ცვლილებების ინიციატორი და ამავდროულად ზრუნავდეს სკოლის განვითარებაზე ჩემი კვლევით არ დასტურდება.

კვლევის ფარგებში პასუხი გავეცი ყველა საკვლევ კითხვას და ამავდროულად, ჩემი მიზანი, რომ გავლენა მომეხდინა და ადმინისტრაციის მუშაობაზე და ხელი შეეწყოთ კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის ნაწილობრივ მიღწეულია. რადგან ჩემი კვლევის შედეგები პრეზენტაციის მეშვეობით გავაცანი სამიზნე სკოლებს და ისინი თვლიან, რომ სკოლის ადმინისტრაციამ უფრო ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას, რათა გაიზარდოს კონკურენტუნარიანობის ხარისხი.

ჩემი კვლევის შედეგებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა გამოიყო:

- ორივე სკოლის მასწავლებლების უმეტესობა თვლის, რომ სკოლების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელია მზრუველი გარემო, სკოლის ინფრასტრუქტურა, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება.
- აღნიშნული სკოლის მშობლები კი თვლიან, რომ მნიშვნელოვანია მზრუნველი გარემო, საცხოვრებელი ადგილი, საზოგადოებაში სკოლის რეპუტაცია და სკოლის ინფრასტრუქტურა.
- ბაღის მშობლებისათვის პრიორიტეტია სკოლა, სადაც არის მზრუნვლი გარემო, საზოგადოებაში გამოირჩევა კარგი რეპუაციით და ახლოსაა მათ საცხოვრებელ ადგილთან.

მასწავლებლების უმეტესობა ორივე სკოლაში აღნიშნავენ, რომ სკოლა სადაც მუშაობენ კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად მოსწავლეებისათვის ქმნიან მზრუნველ გარემოს, ასევე მათთვის პრიორიტეტია ინფრასტრუქტურა, ინდივიდუალური პირობები და ზრუნვა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე.

გამოკითხული მშობლებისათვის კი ერთმანეთთან მდებარე ორი საჯარო სკოლიდან პრიორიტეტულია, ის სკოლა სადაც ზრუნავენ ჰარმონიულ ურთიერთობებზე, ქმნიან მზრუნველ გარემოს და ასევე მათთვის მნიშვნელოვანია სკოლის რეპუტაცია. ბაღის მშობლების პასუხიც ანალოგიური დამატებით გამოყოფენ მზრუნველ გარემოს და ურთიერტობებს, საცხოვრებელ ადგილს და სკოლის ინფრასტრუქტურას.

გამოკითხული მასწავლებლები თვლიან, რომ საჯარო სკოლის კონკურნტუნარიანობის გაზრდაში ადმინისტრაცია უნდა ზრუნავდეს სკოლის ინვენტარზე, დოკუმენტაციის სწორად წარმართვაზე და მოსწავლეთა პრობლემების გადაჭრაზე.

მშობლები კი სკოლის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელად მიიღნევენ განათლების ხარისხს, უსაფრთხო გარემოს, ჰარმონიულ ურთიერთობებზე.

ბაღის მშობლებისათვის ასევე მნიშვნელოვანია გამოცდილი პედაგოგები და სკოლის რეპუტაცია.

გამოკითხული მასწავლებლები ფიქრობენ, რომ სკოლის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრაში მასწავლებლებს მნიშვნელოვანი როლი უკავია,ისინი ზრუნავენ მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მიღწევაზე, ქმნიან მზრუნველ და უსაფრთხო გარემოს,ასევე ზრუნავენ თვითგანვითარებაზე.

გამოკითხული მშობლების აზრით, მასწავლებელს კონკურენტუნარიანობის გაზრდაში მთავარი როლი აკისრიათ, იგი უნდა ზრუნავდეს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე, ქმნიდეს მზრუნველ გარემოს,ზრუნავსედ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდაზე და სწავლებისას იყენებდეს თამამედროვე ტექნოლოგიებს.

ბაღის მშობლების აზრით, კი მასწავლებელი უნდა ქმნიდეს მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო გარემოს.

5 ქულიდან სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლის გამოკითხული მასწავლებლები თავიანთ სკოლას უმეტესობა აფასებს 4 ქულით, ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის მასწავლებლები თავიანთ სკოლასა უმეტესობა აფასებს 5 ქულით.

რაც შეეხება მშობლების შეფასებას სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლის მშობელთა უმეტესობა სკოლას აფასებს 5 ქულით, ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის მშობლების უმეტესობა აფასებს 4 ქულით.

ამ შეფასებით ჩვენ ვასკვნით, რომ სკოლის მიმართ კმაყოფილებას სსიპ ქალაქ თბილისის N132 მშობლებს უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლისას.

ჩემს კვლევაში ორივე სკოლის მასწავლებელთა და მშობელთა პასუხებით თითქმის ერთნაირი იყო , ხოლო სკოლის დირექტორთა პასუხები განსხვევბული.

ორივე სკოლის დირექტორი ამბობს, რომ თბილისის საჯარო სკოლებში არსებობს კონკურენცია, ხოლო ამ კონკურენციას სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლის დირექტორის აზრით განსაზღვრავს რეპუტაცია და სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის დირექტორის აზრით მრავალი ფაქტორი განაფირობებს, ესენი: სკოლის მასწავლებელები, სკოლის ინფრასტრუქტურა, სკოლის ბიუჯეტი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, საზოგადოებაში სკოლის რეპუტაცია, ინკლუზიური განათლების პირობები და მზრუნველი გარემო.

დირექტორების აზრით საჯარო სკოლების კონკურენტუნარიანობაშ სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლის კონკურენტუნარიანობისთვის საჭიროა დირექცია და მასწავლებლები, რომლებიც გაიზიარებენ თანამედროვე მიდგომებს, ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლის დირექტორი თვლის, რომ აუცილებელია დასაქმებულმა პირებმა პატიოსნად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.

გამოკითხული სკოლის დირექტორბი აღნიშნავენ, რომ მათ სკოლებს კონკურენტი ჰყავს, სსიპ ქალაქ თბილისის N115 სკოლის დირექტორი ამბობს, რომ მისი კონკურენტია გლდანის ლუწ მიკროებში მდებარე ყველა სკოლა, სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლის დირექტორი ფიქრობს, რომ მის კონკურენტ სკოლას საზოგადოებაშ შემორჩენილი რეპუტაცია აქვს ძლიერ მხარედ.

ორივე სკოლის დირექტორი 5 ქულიდან საკუთარ სკოლას 3 ქულით აფასებს.

ამრიგად, ჩემ საკვლევ ობიექტში ასრებული ორი კონკურენტი სკოლა, სადაც მოსწავლეთა როდენობა აშკარად განსხვავებულია, რადგან სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლაში, ამჟამად ირიცხება 1633 მოსწავლე, ხოლო სსიპ ქალაქ თბილსიის N132 საჯარო სკოლაში ირიცხება 725 მოსწავლე. ეს ორივე სოლა მდებარეობს გლდანის ლუწ მიკრო რაიონში და არის მეზობელი სკოლა. კვლევით საბუთდება, რომ მათ შორის მოსწავლეთა ესეთი განსხვავება განპირობეულია საზოგადოებაში სკოლის რეპუტაციით. სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლა იყო სომხური სექტორის და 2014 წლიდან მოყოლებული გაიხსნა ქართული სექტორი, იმის მიუხედავად რომ ყოველ წლიურად იმატებს მოსწავლეთა რაოდებობა , მაინც ნაკლებად პრესტიჟულ სკოლად რჩება თემში. მშობლებთან საუბრების შედეგად გაირკვა, რომ არცერთ სკოლას არ ჰყავს უკმაყოფილო მშობელი და სკოლიდან მოსწავლეთა კონტიგენტის დენადობა ნაკლებია, პირიქით ორივე სკოლაში აღინიშნება კონტიგნტის ზრდა.

რეკომენდაციები

- სკოლამ უნდა იზრუნოს თანამშრომლების ინფორმირებულობაზე, ვის რა როლი აკისრია სკოლის ცხოვრებაში.
- სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ისეთი სისტემის არსებობაზე, რომელიც საჯარო სკოლებს შორის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს,არა საზოგადოებაში არსებული რეპუტაციების მიხედვით,არამედ სხვა ფაქტორებით, მაგალითად:მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრებით, ინფრასტრუქტურით, მეგობრული და ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე დაფუძნებული სწავლებით.
- სკოლის დირექტორებმა უნდა იზრუნონ ფუნქციების ისე გადანაწილებაზე, რომ სკოლის ადმინისტრაცია ჩაერთოს კონკურენტუნარიანობისთვის გაზრდისთვის საჭირო აქტივობებში.
- სკოლებმა ამინისტრაციიის ჩართულობით, უნდა განახორციელონ ისეთი ქმედითი ნაბიჯები,რაც ხელს შეუწყობს მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდას.
- სკოლის მასწავლებლებმა სკოლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად უნდა იზრუნონ ისეთი გარემოს შექმნაზე,სადაც კონკურენტუნარიანობა იქნება მზარდი.
- ჩემი მხრიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ დავგეგმავ და განვახორციელებ განმეორებით კვლევას,რათა შევამოწმო რამდენად გაიზარდა ადმინისტრაციის როლი საჯარო სკოლების კონკურენტუნარიანობის გაზრდაში?
- სკოლის ადმინისტრაციამ უნდა იზრუნოს მშობლეთა ინფორმირებულობაზე, რათა სკოლაში არსებული პროცესები იყოს გამჭვირვალე მშობლებისთვის, ეს მათ მიცემს საშუალებას საკუთარი შვილის სკოლის შერჩევისას მიიღონ სწორი/ადეკვატური გადაწყვეტილება;

- სკოლაში არსებული პროცესები, აისახოს სკოლის ელექტორნულ გვედზე, რაც სკოლამდელი ასაკის ბავშვის მშობლებს მისცემს საშუალებას გაეცნოს სასურველი სკოლის შესახებ მათთვის საინტერესო ინფორმაცას, ეს კი ხელს შეუწყობს სკოლებს შორის ჯანსაღ კონკურენციას. ყველა სკოლას თუნდაც ერთთმანეთთან ძალიან ახლოს მდებარეს ექნება საშუალება, თანაბრად წარმოაჩინოს თავისი სკოლის ძლიერი მხარეები და მშობლების მიერ არჩევანის გაკეთებისას იყვნონ ღია და სანდო მათთვის.
- უნდა მოხდეს სკოლის ადმნისტრაციის გადამზადება და სხვადასხვა თანამშრომლობითი შეხვედრები სხვადასხვა სკოლის ადმინისტარციებს შორის, სადაც თითოული გაუზიარებს თავიანთ გამოცდილებას ერთმანეთს.
- ადმნისტრაციას უნდა ჰქონდეს ხშირი შეხვედრები მშობლებთან და მასწავლებებლებთან. როგორც კვლევამ აჩვენა ადმნისიტრაციისგან ელიან სხვადასხვა ქმედით ნაბიჯებს, როგორიცაა სკოლის ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა, უსაფრთხო გარემს შექმნა, გაცვლითი პროგრამების გამოყენება, თანამედროვე ტექნოლოგიებით სკოლის აღჭურვა და საბუთების სწორად საწმოება. ამ ჩამონათვალიდან ჩემი დაკვირვებით ადმნისტრაცია ძირითადად საბუთებს აწარმოებს, რაც ნაკლებად აქტიურს ხდის სკოლის კონკურენტუნარიანობაზე ზრუნვას.
- ადმინისტრაცია უნდა შეუწყოს ხელი სკოლაში ცვლილებების განხორციელებას,რაც გაზრდის მსოწავლეთა მოტივაციას.
- ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს სკოლაში გამოცდილი და სანდო მასწავლებელბის მოზიდვას, რაც მშობლების აზრით ერთ-ერთი პრიორიტეტია.
- გააცნოს სკოლის შინაგანაწესი მასწავლებელებს,მშობლებს და მოსწავლეებს,რაც დაეხმარება უსაფროთო და მოწესრიგებული გარემოს შექმნაში.
- სკოლამ უნდა იზრუნოს გამოცდილი კადრების მოზიდვაზე ადმნისტრაციაში.

- სკოლამ იმისათვის,რომ იყოს კონკურენტუნარიანი უნდა შექმნას შექმნას ჯაჭვი მშობელს,მასწავლებელს, ადმინისტრაციასა და მოსწავლეს შორის, რაც უფრო ეფექრურს გახდის სკოლის საქმიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1) გორტონი, რ. ალსტონი,ჯ .ნოუდენი,პ. *ლიდერობა და ადმინისტრიება სკოლაში.*(2012)გვ:28,29,30,94,105.

2) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი . *სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი* (2011).თბილისი. გვ:5,7,16,20,48,73.

3) ბოლმანი, ლი,გ და დილი,ტ,ი. სახელმძღვანელო *ორგანიზაციების რიფრეიმინგი(1984).* გვ:26. http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2015/12/6.pdf

4) მაღლაკელიძე,შ. გიორგობიანი,ზ. შუკაკიძე,ბ .*სკოლის დაფინანსება:პრობლემის ანალიზი და მათი გადაჭრის გზები* (2012). თბილისი. გვ:5,10,108,110.

5) შუკაკიძე,ბ. *ზოგადსაგანმანათლებლო მართვის საკითხები* (2018). გორი. გვ:14.

6) Mulford,B. *SCHOOL LEADERS: CHALLENGING ROLES AND IMPACT ON TEACHER AND SCHOOL EFFECTIVENESS* (2003). Pg:6. http://www.oecd.org/education/school/37133393.pdf

7) საგანმანათლებლო დაწესებულების კატალოგი http://catalog.edu.ge/index.php?module=school_info&page=region_list

8) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/ზოგადი განათლება https://www.geostat.ge/ka/modules/categories/59/zogadi-ganatleba

9) საქართველოს კონსტიტუცია (2010) მუხლი 35. გვ:8

10) რადიო თავისუფლება. ახალი ამბები. *PISA 2018-ის კვლევაში ქართველი მოსწავლეები ბოლოდან მე-5 ადგილზე არიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.(დეკემბერი 03, 2019).* https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%9B%E1%83%94-5-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98---

%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%98/30305346.html

11) სუყაშვილი,თ.სტატია maswavlebeli.ge-ზე. *სკოლის ადმინისტრაცია და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება მოსწავლეებში* (2019). http://mastsavlebeli.ge/?p=23950&fbclid=IwAR02-lLNSkjx8z9E3PXgcw-FOIU3Mrc4_5qDfQ6MgMNnu8ajRtKTfwY1kbM

12) დიასამიძე, ა. სადისერტაციო ნაშრომი განათლების ხარისს მოსაპოვებლად. *თანამედროვე სკოლის მართვის სტრატეგიები* (2012). ბათუმი. *file:///C:/Users/Lana/Desktop/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D-%20%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90/%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90/ge_file_5260_1.pdf*

13) TALIS სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (2015) file:///C:/Users/Lana/Desktop/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D-%20%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90/%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90/talis%20final%20report.pdf

14) თ.ზურაბიშვილი, „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ , სოციალურ მეცნიერებათა სერია, CSS, თბილისი 2006 წელი, გვ. 48

15) ა.მახნიაშვილი,ბლოგი არაფორმალური განათლება, *რა არის კონკურენცია?* თბილისი 2014 წელი. https://anamakhniashvili.wordpress.com/2014/04/11/%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/

16) რობერტ ჯ. ოუენსის და თომას ს. ვალესკის სახელმძღვანელო *„ორგანიზაციური ქცევა განათლებაში,ლიდერობა და სკოლის რეფორმა“* (2008). გვ:48 https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/organizatsiuli-qtseva-ganathlebashi-lideroba-da-skolis-rephorma-robert-j.-ouensi-thomas-s.-valeski.pdf

17) ია ჟვანია და გიორგი კიკნაძე. *„ლიდერი და ლიდერობა“*(2010). გვ:125 http://www.bpa.ge/book/book10.pdf

18) გ. ამყოლაძე, ი. ამყოლაძე. *„ლიდერობა. უნარები, სტილი და მეთოდები“* თბილისი (2014) http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/73374/1/Lideroba.pdf

19) წულაძე, ლ. *„რაოდენობრივი კვლევის სახელმძღვანელო“.* თბილისი(2008). http://css.ge/wpcontent/uploads/2019/07/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv.pdf

დანართი N1

კითხვარი დირექტორებისათვის

1. "არსებობს თუ არა თბილისში საჯარო სკოლებს შორის კონკურენცია?"

- დიახ
- არა

2.რა გარე და შიდა ფაქტორები განაპირობებენ დღევანდელ რეალობაში საჯარო სკოლებს შოროს კონკურენციას? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამოდენიმე პასუხი)

- o დირექცია
- o ცნობილი მასწავლებლები
- o მოსწავლეთა დიდი რაოდენობა
- o მოსწავლეთა მცირე რაოდენობა
- o მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა
- o სკოლის ინფრასტრუქტურა
- o სკოლის ბიუჯეტი
- o სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება
- o გაცვლითი პროგრამა
- o ინკლუზიური განათლების პირობები
- o მზრუნველი გარემო და ურთიერთობები
- o სხვა...

3. იმისათვის რომ, სკოლა იყოს კონკურენტუნარიანი, ვის რა როლი აკისრია ამ საკითხში?

4. ჰყავს თუ არა თქვენს სკოლას კონკურენტი? რატომ მიიჩნევთ კონკურენტად და რა ძლიერი მხარე აქვს იმ სკოლას თქვენს სკოლასთან შედარებით?

5. 5 ქულიდან,რამდენი ქულით შეაფასებდით თქვენი შვილის სკოლას? (1 ქულა მიუთითებს ძალიან ცუდს,2 ქულა ცუდს,3 ქულა საშუალოს, 4ქულა კარგს,ხოლო 5 ქულა ძალიან კარგს)

1 2 3 4 5

კითხვარი მასწავლებლებისათვის

1.მონიშნეთ სკოლა რომელშიც ასწავლით

- სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლა
- სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლა

2. თქვენი აზრით რა განსაზღვრავს საჯარო სკოლების კონკურენტუნარიანობას? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამოდენიმე პასუხი)

- დირექცია
- ცნობილი მასწავლებლები
- მოსწავლეთა დიდი რაოდენობა
- მოსწავლეთა მცირე რაოდენობა
- მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა
- სკოლის ინფრასტრუქტურა
- სკოლის ბიუჯეტი
- სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება
- გაცვლითი პროგრამა
- ინკლუზიური განათლების პირობები
- მზრუნველი გარემო და ურთიერთობები
- სხვა...

3.ჩამონათვალიდან გამოყავით თქვენთვის 1 ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი

- დირექცია
- ცნობილი მასწავლებლები
- მოსწავლეთა დიდი რაოდენობა
- მოსწავლეთა მცირე რაოდენობა
- მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა
- სკოლის ინფრასტრუქტურა

- სკოლის ბიუჯეტი
- სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება
- გაცვლითი პროგრამა
- ინკლუზიური განათლების პირობები
- მზრუნველი გარემო და ურთიერთობები

სხვა...

4.სკოლა, სადაც თქვენ მუშაობთ, რა ნაბიჯებს დგამს საიმისოდ, რომ იყოს კონკურენტუნარიანი?

5.თქვენი აზრით, რა ფუნქცია აკისრია სკოლის ადმინისტრაციას საჯარო სკოლების კონკურენტუნარიანოს გაზრდაში?

6.**თქვენი აზრით, რა ფუნქცია აკისრია სკოლის მასწავლებელს საჯარო სკოლების კონკურენტუნარიანოს გაზრდაში?**

7.როგორია თქვენი როლი თქვენი სკოლის კონკურენტუნარიანობის გაზრდაში?

8.5 ქულიდან,რამდენი ქულით შეაფასებდით თქვენს სკოლას? (1 ქულა მიუთითებს ძალიან ცუდს,2 ქულა ცუდს,3 ქულა საშუალოს, 4ქულა კარგს,ხოლო 5 ქულა ძალიან კარგს)

1 2 3 4 5

კითხვარი მშობლებისათვის

1.მონიშნეთ სკოლა რომელშიც სწავლობთ

- სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლა
- სსიპ ქალაქ თბილისის N115 საჯარო სკოლა

2.თქვენი შვილებისათვის, სკოლის შერჩევისას რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელეთ?(შეგიძლიათ მონიშნოთ რამოდენიმე პასუხი)

- დირექცია
- ცნობილი მასწავლებლები
- მოსწავლეთა დიდი რაოდენობა
- მოსწავლეთა მცირე რაოდენობა
- მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა
- სკოლის ინფრასტრუქტურა
- სკოლის ბიუჯეტი
- სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება
- გაცვლითი პროგრამა
- ინკლუზიური განათლების პირობები
- მზრუნველი გარემო და ურთიერთობები
- სხვა...

2. რას მიანიჭეთ უპირატესობას?(მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- დირექცია
- ცნობილი მასწავლებლები
- მოსწავლეთა დიდი რაოდენობა
- მოსწავლეთა მცირე რაოდენობა
- მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა
- სკოლის ინფრასტრუქტურა
- სკოლის ბიუჯეტი
- სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება

- გაცვლითი პროგრამა
- ინკლუზიური განათლების პირობები
- მზრუნველი გარემო და ურთიერთობები

სხვა...

3.იმ შემთხვევაში თუ თქვენ საცხოვრებელ ადგილთან თანაბარი მანძილით დაშორებული ორი საჯარო სკოლა მდებარეობს,რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელეთ არჩევანის გაკეთებისას?(შეგიძლიათ მონიშნოთ რამოდენიმე პასუხი)

- o დირექცია
- o ცნობილი მასწავლებლები
- o მოსწავლეთა დიდი რაოდენობა
- o მოსწავლეთა მცირე რაოდენობა
- o მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა
- o სკოლის ინფრასტრუქტურა
- o სკოლის ბიუჯეტი
- o სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება
- o გაცვლითი პროგრამა
- o ინკლუზიური განათლების პირობები
- o მზრუნველი გარემო და ურთიერთობები

სხვა...

4. თქვენ რას მიიჩნევთ სკოლების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელად?

5. თქვენი აზრით სკოლის ადმინისტრაციას რა ფუნქცია აკისრია კონკურენტუნარიანობის გაზრდაში?

6. თქვენი აზრით საჯარო სკოლის მასწავლებლებს რა ფუნქცია აკისრია კონკურენტუნარიანობის გაზრდაში?

7. ქულიდან,რამდენი ქულით შეაფასებდით თქვენი შვილის სკოლას? (1 ქულა მიუთითებს ძალიან ცუდს,2 ქულა ცუდს,3 ქულა საშუალოს, 4ქულა კარგს,ხოლო 5 ქულა ძალიან კარგს)

1 2 3 4 5

კითხვარი ბაღის მშობლებისათვის

1. თქვენი შვილებისათვის,სკოლის შერჩევისას რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელეთ?(შეგიძლიათ მონიშნოთ რამოდენიმე პასუხი)

- დირექცია
- ცნობილი მასწავლებლები
- მოსწავლეთა დიდი რაოდენობა
- მოსწავლეთა მცირე რაოდენობა
- მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა
- სკოლის ინფრასტრუქტურა
- სკოლის ბიუჯეტი
- სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება
- გაცვლითი პროგრამა
- ინკლუზიური განათლების პირობები
- მზრუნველი გარემო და ურთიერთობები
- სხვა...

2. რას მიანიჭეთ უპირატესობას?(მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- დირექცია
- ცნობილი მასწავლებლები
- მოსწავლეთა დიდი რაოდენობა
- მოსწავლეთა მცირე რაოდენობა
- მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა
- სკოლის ინფრასტრუქტურა
- სკოლის ბიუჯეტი

- სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება
- გაცვლითი პროგრამა
- ინკლუზიური განათლების პირობები
- მზრუნველი გარემო და ურთიერთობები

სხვა...

3.იმ შემთხვევაში თუ თქვენ საცხოვრებელ ადგილთან თანაბარი მანძილით დაშორებული ორი საჯარო სკოლა მდებარეობს,რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელებთ არჩევანის გაკეთებისას?(შეგიძლიათ მონიშნოთ რამოდენიმე პასუხი)

- დირექცია
- ცნობილი მასწავლებლები
- მოსწავლეთა დიდი რაოდენობა
- მოსწავლეთა მცირე რაოდენობა
- მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა
- სკოლის ინფრასტრუქტურა
- სკოლის ბიუჯეტი
- სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება
- გაცვლითი პროგრამა
- ინკლუზიური განათლების პირობები
- მზრუნველი გარემო და ურთიერთობები

სხვა...

4. თქვენ რას მიიჩნევთ სკოლების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელად?

5. თქვენი აზრით სკოლის ადმინისტრაციას რა ფუნქცია აკისრია კონკურენტუნარიანობის გაზრდაში?

6. თქვენი აზრით საჯარო სკოლის მასწავლებლებს რა ფუნქცია აკისრია კონკურენტუნარიანობის გაზრდაში?